პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი | № 168 (12376) | ხუთშაბათი, 19 ივლისი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი მურმანსკის ოლქში

ზაპოლიარნი, 17 ივლისი. (საკდესი). დღეს მურმანსკის ოლქში ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი.

დღის პირველ ნახევარში იგი ეწვია ბორისოგლებსკის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას. მას აგებენ ნორვეგიის მოსაზღვრე მდინარე პასზე. ამ ჰესს, რომლის სიმძლავრე 56.000 კილოვატია, აშენებს ნორვეგიის ფირმა „ნორელექტრო“. ნიკიტა სერგის ძეს გულთბილად მიესალმნენ ნორვეგიელი მშენებელი მუშები, აგრეთვე საბჭოთა სპეციალისტები და მათი ოჯახის წევრები. ნ. ს. ხრუშჩოვი გაეცნო სადგურის აგების მსვლელობას.

შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვი გაეცნო მომავალი ჰესის საბჭოთა მეექსპლუატაციე სპეციალისტების ახალი სახლების მშენებლობას და ეწვია მესაზღვრეთა ქვედანაყოფს.

იმავე დღეს ნ. ს. ხრუშჩოვი იყო დინოგორის მაღაროს სამთოგამამდიდრებელი კომბინატის მშენებლობაზე.

დაბა ზაპოლიარნიში ყურეს, ლენინ, ...

სკოლიდან—დიდი ცხოვრების გზაზე

მუშათა ოჯახში

გ. ჩოგოვაძე,
საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე.

ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცების შესახებ ისტორიული კანონის განხორციელებას რომ შეუფერებ, არ გვქონდა გამოცდილება მოსწავლეთა საწარმოო სწავლების ორგანიზაციაში. ამიტომ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ გადაწყვიტა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობით დაეწყო ასეთი სწავლების საცდელი ორგანიზაცია თბილისში მდებარე რამდენიმე საწარმოში.

კიროვის სახელობის დაზგაოსამშენებელო ქარხანაში, მუშავდე სამკერვალო ფაბრიკაში გამოყოფილ იქნა საუკეთესო საამქროები. ისინი გულდასმით შეაკეთეს და უზრუნველყვეს საწარმოო სწავლებისათვის საჭირო მოწყობილობით, ხოლო მუშებისა და მუშა ქალების მზრუნველმა ხელებმა შექმნეს მათში საუკეთესო პირობები.

საწარმოო სწავლების ინსტრუქტორად გამოყოფილ იქნენ ხელმძღვანელები საწარმოთა კვალიფიციური ოსტატებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების რიცხვიდან.

ყველა ეს ღონისძიება ტარდებოდა შშობლებთან და ზემოაღნიშნულ საწარმოებზე მიმაგრებული სკოლების მეცხრე კლასების პედაგოგებთან მჭიდრო კავშირით და მათი უშუალო მონაწილეობით.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც მკაცრი მომთხოვნელობით შემოწმდა საამქროების, თეორიული სწავლების ოთახების მდგომარეობა და სხვა პირობები, მშობლებმა, სკოლების პედაგოგებმა და საწარმოთა დირექციებმა მიიღეს გადაწყვეტილება დაწყებულიყო საწარმოო სწავლება.

ამ საწარმოებში საწარმოო სწავლების ორგანიზაციის გამოცდილება დაგვებმარა წარმატებით მოგმზადებულიყავით საწარმოო სწავლების მონაწილისათვის უკვე ფართო მასშტაბებით.

გასულ სასწავლო წელს საწარმოო სწავლება ჩვენ დავიწყეთ ჩვენი რესპუბლიკის 84 მსხვილ საწარმოში, მათ შორის ისეთებში, როგორიც არის რუსთაველის მეტალურგიული, ქუთაისის საავტომობილო, თბილისის ელმავალსამშენებელო, ბათუმის გემთსამშენებელო ქარხნები, ფეხსაცმლის ფაბრიკა № 1, კერამიკული კომბინატი და სხვა. ამ საწარმოებზე მომაგრებულ იქნა 77 ზოგადსაგანმანათლებელო საშუალო სკოლის მეცხრე კლასების ორი ათასზე მეტი მოსწავლე.

პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ საწარმოო სწავლება მაქსიმალურ ეფექტს გვაძლევს მაშინ, როდესაც ამ მიზნისათვის მოსწავლეებს გამოყოფილი აქვთ ცალკე შენობები. ამის გათვალისწინებით მოსწავლეებისათვის მიჩენილ საწარმოებში მოწყობილ იქნა ცალკეული საამქროები, ხოლო იქ, სადაც ამის საშუალება არ იყო — ცალკეული უბნები საამქროების შიგნით.

საწარმოო სწავლებისა და მოსწავლეთა აღზრდისადმი ხელმძღვანელობის საქმეში ჩავაბით კვალიფიციური ოსტატები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები 229 კაცის რაოდენობით, რომლებისთვისაც ზაფხულის პერიოდში მოეწყო სპეციალური კურსები — პედაგოგიური მინიმუმის სემინარები.

განათლების ორგანოებთან ერთად შემუშავდა აგრეთვე სასწავლო გეგმები და პროგრამები 84 საწარმოთაგან თვითეულისათვის.

სასწავლო წლის დასაწყისში საწარმოო სწავლებაზე დაშვებულმა ყველა მოსწავლემ გაიარა სამედიცინო შემოწმება. მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა გათვალისწინებულ იქნა მათთვის სამუშაო პროფესიის შერჩევისას, ამასთან, როგორც წესი, კატეგორიულად აიკრძალა მოსწავლეთა დაშვება მძიმე სამუშაოზე საამქროებშიც და უბნებშიც, სადაც ჯანმრთელობისათვის მავნებელი შრომის პირობებია.

მშობლები და პედაგოგები პირადად დარწმუნდნენ იმაში, თუ როგორი სიყვარულით, მომზადებულან საწარმოები მოსწავლეთა მისაღებად, საკუთარი თვალით ნახეს, რომ საწარმოთა კოლექტივები ძალას და სახსრებს არ იშურებენ, რათა თავიანთ მომავალ აღზრდილებს შეუქმნან ყველა სჭირო პირობა სწავლისათვის.

შემოწმებამ გვიჩვენა, რომ მოსწავლეებმა, რომლებიც საწარმოო სწავლებას გადიან, ყველგან უკეთ იწყეს სწავლა სკოლაში, სწავლაში ჩამორჩენილთა რიცხვი სულ უფრო და უფრო მცირდებოდა, შრომის დისციპლინა საგრძნობლად მაღლდებოდა, მოსწავლეთა ინტერესი წარმოებისადმი, მათ მიერ შესრულებული სამუშაოსადმი ყოველდღიურად იზრდებოდა, ამასთან ადგილი არ მქონია წარმოებიდან მოსწავლის წასვლის შემთხვევა.

მშობლებისაგან, პედაგოგებისა და სკოლების დირექტორებისაგან ცოტა განცხადება რიდი შემოდიოდა, რომლებშიც ისინი მაღალ შეფასებას აძლევდნენ საწარმოო სწავლების ორგანიზაციას და მადლობას უხდიდნენ კომუნისტურ პარტიას ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცების კანონის ასე დროულად გამოცემისათვის.

მოსწავლეები, რომლებიც საწარმოო სწავლებას გადიან, წარმოებაში მუშაობენ კვირაში ორ დღეს — დღეში 6 საათს, აქედან 2 საათი გამოყოფილია ასათვისებელ პროფესიასთან დაკავშირებული თეორიული სწავლებისათვის, ხოლო 4 საათი — პრაქტიკული სწავლებისათვის.

დასწრებისა და სწავლაში წარმატების აღრიცხვისათვის თვითეულ საწარმოში შემოღებულია ისეთივე საკლასო ჟურნალი, როგორიც საშუალო ზოგადსაგანმანათლებელო სკოლებში. ამ ჟურნალებში შეაქვთ მოსწავლეთა მიერ გავლილი მასალის ცოდნის შეფასება 5-ბალიანი სისტემით.

როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ მეცადინეობას ხელმძღვანელობენ შესაბამისი საშუალო სკოლების პედაგოგები, ისინი არიან პედსაბჭოების წევრები და აქტიურ მონაწილეობას იღებენ სკოლების მუშაობაში.

სკოლების დირექტორებსა და კლასის ხელმძღვანელებს მჭიდრო კავშირი აქვთ საწარმოო სწავლების ხელმძღვანელებთან, სისტემატურად ეხსრებიან საწარმოო მეცადინეობას-და აქტიურ მონაწილეობას იღებენ მოსწავლეთა შრომითს აღზრდაში.

1959-1960 სასწავლო წლის დამთავრებისას სახალხო მეურნეობის საბჭომ მოაწყო საწარმოო სწავლების პირველ სასწავლო წლის მოსწავლეთა მიერ გამოშვებული სამრეწველო პროდუქციის ნიმუშების გამოფენა.

ეს იყო ჩვენი ინსტრუქტორების, პედაგოგებისა და თვით მოსწავლეთა შემოქმედებითი შრომის ჩვენება, აგრეთვე ჩვენება მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის შემოქმედებითი შრომისა, რასაც იგი ეწევა ახალგაზრდა თაობის შრომითი აღზრდის დიდი სახელმწიფოებრივი ღონისძიებების გატარების საქმეში.

1960-1961 სასწავლო წლიდან დაწყებული ჩვენს რესპუბლიკაში საწარმოო სწავლებას ატარებს 78 საწარმო, რომლებიც ამზადებენ 7.000 ახალგაზრდას — კომუნიზმის მომავალ მშენებლებს.

საწარმოო სწავლების ხელმძღვანელ კვალიფიციურ ოსტატთა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა რიცხვმა 450-ს მიაღწია, ხოლო სამუშაო ადგილებისამ — წინა სასწავლო წლის 450-ის ნაცვლად ათას ხუთასს.

სახალხო მეურნეობის საბჭოს სპეციალურმა საკონსტრუქტორო ბიურომ შეიმუშავეს მერქ-მეგიდების, სკამების, სპეცტანსაცმლისა და IX-X და XI კლასების მიერ გამოსაყენებელი ინსტრუმენტების შესანახი კარადების კონსტრუქციები.

შემუშავებულია აგრეთვე სპეციალური მოდელები ცალკე ვარეულისა და გოგონების სპეცტანსაცმლისა.

ყველა ეს ნიმუში გამოფენილი იყო ფართო ჩვენებისათვის, რის შედეგადაც პედაგოგების, მშობლებისა და თვით მოსწავლეების შენიშვნების გათვალისწინებით დაიწყო ზემოაღნიშნული პროდუქციის მასობრივი გამოშვება.

1961-1962 სასწავლო წლიდან საწარმოო სწავლება მოწყობილია 154 საწარმოში საშუალო ზოგადსაგანმანათლებელო სკოლების IX, X, XI კლასების 14.000 მოსწავლისათვის, რომლებიც ეუფლებიან მრეწველობის ძირითადი დარგების 80 სხვადასხვა სამუშაო პროფესიას.

მოსწავლეთა მომზადება ხდება კვალიფიციურ მუშებზე რესპუბლიკის მრეწველობის პერსპექტიული მოთხოვნის გათვალისწინებით. ამასთან პროფესიების შერჩევა ხდება იმის მიხედვითაც, თუ როგორი სურვილი და მიდრეკილება აქვთ მოსწავლეებს და, რაც მთავარია, მათი ფიზიკური მდგომარეობის მიხედვით.

საწარმოო სწავლების პრაქტიკაში დაწესდა შემდეგი წესი: მოსწავლეები პირველ წელიწადნახევარში სწავლობენ მათ მიერ შერჩეულ პროფესიას სპეციალურად მოწყობილ სახელოსნოში ან სპეციალურ საამქროში, ხოლო მეორე წელიწადნახევარში — ქარხნის თუ ფაბრიკის საამქროებში მუშების ადგილზე, და უშვებენ საამქროსათვის ჩვეულებრივ პროდუქციას.

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ საწარმოო პირობებში მუშათა კოლექტივში ყოფნა და მატერიალურ ფასეულობათა შექმნაში უშუალო მონაწილეობა მოსწავლეებზე კეთილმყოფელ გავლენას ახდენს, როგორც ჰორიზონტის გაფართოების, ისე მორალური თვისებების ამაღლების, დისციპლინის განმტკიცების, სკოლაში ცოდნის შეთვისების დონის აწევისა და სხვა თვალსაზრისით.

მოსწავლეთა საწარმოო სწავლების გამო გაუმჯობესების მიზნით სახალხო მეურნეობის საბჭო შეუდგა საწარმოებთან ისეთი სპეციალური კორპუსების მშენებლობას, რომლებიც შეესაბამება მოსწავლეთა საწარმოო სწავლების სამსახურს.

აურშან თბილისის აგურის ქარხანაში აშენებული იყო საწარმოო სწავლების სპეციალური საამქრო 800 მოსწავლისათვის, აგრეთვე დამხმარე სამსახურისათვის: საკლასო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები, საგარდერობო, საშხაპე და სხვ.

1962 წელს ასეთი სპეციალური კორპუსების შენებლობას შეუდგება თბილისის კიდევ 5 საწარმო, აგრეთვე რუსთავის და რესპუბლიკის სხვა ქალაქების მთელი რიგი საწარმოები.

ამასთან სახალხო მეურნეობის საბჭო სწავლობს ქ. თბილისში სპეციალური ქარხნის აშენების საკითხს, რომელშიც გამოცდილი ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით იმუშავებენ საშუალო ზოგადსაგანმანათლებელო სკოლების მხოლოდ უფროსი კლასების მოსწავლეები.

1962 წელს საწარმოო სწავლება დაამთავრა საშუალო ზოგადსაგანმანათლებელო სკოლების 1.700-მდე მოსწავლემ, რომლებმაც შეითვისეს ზეინკლის, ზეინკალ-ამწყობის, ხარატ-ელექტროტექნიკოსის, მეფეხსაცმელე-მკერავის, მეავეჯის, დამხვეელის და სხვა პროფესიები. მათი უდიდესი ნაწილი უკვე მივიდა ან მივა საწარმოში სამუშაოდ.

1962-1963 სასწავლო წელს სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოები და ორგანიზაციები საწარმოო სწავლებაზე მიიღებენ საშუალო ზოგადსაგანმანათლებელო სკოლების IX კლასების დაახლოებით 11.000 მოსწავლეს. ასე რომ IX, X და XI კლასების იმ მოსწავლეთა რიცხვი, რომლებიც საწარმოო სწავლებას გადიან, მიაღწევს 21.000 კაცს.

სახალხო მეურნეობის საბჭომ საწარმოთა მიერ წარმოდგენილი განაცხადების საფუძველზე შეიმუშავა 1962-1967 წლებში კვალიფიციურ მუშებზე მოთხოვნილების პერსპექტიული გეგმა საშუალო სკოლების იმ მოსწავლეთა რიცხვიდან, რომლებიც საწარმოო სწავლებას გადიან.

შემდგომში საწარმოები მუშახელით თავიანთ რიგებს შეავსებენ ამ გეგმის შესაბამისად.

ასეთია ჩვენი სახალხო მეურნეობის საბჭოს გამოცდილება საწარმოო სწავლების ორგანიზაციაში.

რა თქმა უნდა, ამ საკითხში ყველაფერი არ არის ბოლომდე, ამომწურავად დამუშავებული. არის ზოგჯერ როგორც მეთოდური, ასევე საწარმოო ხასიათის ნაკლოვანებები, მაგრამ მოლიანად ეს გამოცდილება უდავოდ დადებითია. მისი მთავარი ღირსება ის არის, რომ კომუნისტური საზოგადოების მშენებელთა აღზრდის საქმეში საწარმოო სწავლების უდიდესი სარგებლობა შეგნებული აქვთ არა მარტო პედაგოგებს და მშობლებს, არამედ, უწინარეს ყოვლისა, თვით მოსწავლეებს.

სწორედ ამიტ აიხსნება ის ენთუზიაზმი, რითაც უფროსი კლასების მოსწავლეები ეკიდებიან იმ საწარმოო პროფესიების ათვისებას, რომელიც მათ აძლევს საგზურს სკოლიდან დიდი ცხოვრების სარბიელზე.

ხალისით მოვლენ!

საბჭოა ხანა, რაც ქალაქის ყველა საშუალო სკოლა გადასულია საწარმოო სწავლებაზე. ამისათვის რუსთავში შესანიშნავი საწარმოო ბაზებია. არაფერს ვამბობ ისეთ დიდ საწარმოებზე, როგორიც არის მეტალურგიული, ცემენტისა და მექანიკური ქარხნები. შეეგებენ ჩვენს ქარხანას — „დიდი ქიმიის“ ობიექტს. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ ქარხნის მასშტაბი თანდათანობით ფართოვდება, ჩვენ დიდალი მუშახელი გვჭირდება.

საიდან უნდა მივიღოთ ისინი? ცხადია, მეტწილად საშუალო სკოლებიდან. მით უმეტეს, რომ სკოლებში სწავლის დროს მოსწავლეები ჩვენთან გადიან საწარმოო პრაქტიკას, იძენენ კვალიფიკაციებს. საწარმოო პრაქტიკა რომ ნაყოფიერი იყოს და უპასუხებდეს თავის ამოცანას, ჩვენთან შექმნილია სპეციალური საკონსულტაციო ჯგუფები. მომავალი თაობის აღზრდას ხელმძღვანელობენ ქარხნის საუკეთესო ინჟინერ-ტექნიკოსები.

გასულ წლებში ჩვენთან საწარმოო პრაქტიკას გადიოდნენ სამი საშუალო სკოლის მე-9, მე-10 და მე-11 კლასების მოსწავლეები. საშუალო სკოლა რომ დაამთავრა, ბევრმა მათგანმა გამოთქვა სურვილი ქარხანაში მოვიდეს სამუშაოდ. ჩვენ მივიღეთ კიდეც რამდენიმე ახალგაზრდა და გავაფორმეთ იმ სამუშაოზე, რომლის კვალიფიკაციაც მათ საშუალო სკოლაში სწავლის დროს საწარმოო სწავლისას მიიღეს.

ახლო მომავალში ჩვენთან მწყობრში ჩადგება ჯაბროლაქტამის გიგანტური საწარმო. ჩვენ აქედანვე ვზრუნავთ აღნიშნული წარმოებისათვის კადრების შეგროვებაზე. ვფიქრობთ, იგი მეტწილად რუსთავში საშუალო სკოლადამთავრებული ახალგაზრდებით დავაკომპლექტოთ.

თ. მონცელიძე,
რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის პარტიბიუროს მდივანი.

სწავლა და შრომა

დ. ბოგოხია,
საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი.

მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განხორციელდა აფხაზეთში ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემიდან შემდგომი განვითარების შესახებ მთავრობის კანონის გასატარებლად.

ამ კანონის მიღებიდან დღემდე აფხაზეთის 108 საშუალო სკოლიდან საწარმოო სწავლებაზე გადაყვანილ იქნა 75 სკოლა 4.243 მოსწავლით. საწარმოო სწავლების სკოლებში მოსწავლეები ეუფლებიან 32 სხვადასხვა სპეციალობას, იღებენ მშენებლს, ხისა და ლითონის დამამუშავებელს, ელექტრომონტიორს, ავტომძღოლს, რადიოტექნიკოსს, მებაღეს, მემინდვრეს, სუბტროპიკოსის და სხვა კვალიფიკაციას. მარტო წელს აფხაზეთის სკოლების 353 მოსწავლემ საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატთან ერთად მიიღო მოწმობა საწარმოო კვალიფიკაციის დაუფლების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ, როგორც წესი, შრომითი პროფესიის დაუფლების საქმეში მოწინავენი ყოველ სწავლის წარჩინებულნი. მაგალითად, სოხუმის პირველი საშუალო სკოლის მოსწავლეებმა ს. ასათიანმა, ი. ელიშაკოვა, მ. ბერიამ, ვ. ბაბავამ წარჩინებული სწავლისათვის ოქროსა და ვერცხლის მედალთან ერთად მიიღეს მოწმობები ფეხსაცმლის მკერავ-დამამზადებლისა. ამავე სკოლის მოსწავლეებმა ს. ჟორჟოლიანმა, ა. ცაავამ, ნ. ნარსოამ საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სურვილი გამოთქვეს განაგრძონ მუშაობა მიღებული სპეციალობის მიხედვით სოხუმის ტყავფეხსაცმლის კომბინატში, სადაც ისინი საწარმოო სწავლებას გადიოდნენ.

მოსწავლეთა შრომითი აღზრდის საქმეში მნიშვნელოვანი წარმატებები აქვს გუდაუთის რაიონის სოფელ დერიფშის საშუალო სკოლას. წელს აქ სკოლა დაამთავრა 25 მოსწავლემ, ყველა მათგანმა მიიღო საწარმოო კვალიფიკაცია. სკოლადამთავრებულთაგან ოცმა განაცხადა სურვილი განაგრძოს მუშაობა მშობლიურ კოლმეურნეობაში.

ამჟამად აფხაზეთში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების საქმეში ძირითადი ძალა ახალგაზრდობაა; მისი დიდი ნაწილი, არასრული და საშუალო განათლებით, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მუშაობს. ბევრი ახალგაზრდა, რომელიც კოლმეურნეობაში საშუალო სკოლის ატესტატით მოვიდა, დაწინაურებულ იქნა ბრიგადირად, მერგოლურად. სოხუმის რაიონის შრომის საშალო სკოლის დამთავრების შემდეგ ბ. გალელია და ბ. ცანავა წავიდნენ კოლმეურნეობა „გამარჯვებაში“ სამუშაოდ. აქ მალე ისინი დაწინაურეს ბრიგადირებად და, უნდა ითქვას, რომ მათ საუსპირით გაამართლეს კოლმეურნეთა ნდობა. მათი ბრიგადები მოწინავეები არიან სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულებაში; ამასთან ისინი ბრიგადირებად მუშაობას წარმატებით უთავსებენ უმაღლეს სასწავლებელში სწავლას — საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტები არიან.

შრომისა და სწავლის შეერთების საუკეთესო მაგალითებს იძლევიან ამავე რაიონის ახალგაზრდები: ვ. ვეტერელნიკოვა, ა. დურგარიანი, გ. ტერტერიანი, ო. ოკუჯავა და სხვ., რომლებიც წარმატებით მუშაობენ საკოლმეურნეო მრეწველობაში და ამავე დროს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ.

სოხუმის რაიონში 1959-1960 წელს საშუალო სკოლა დამთავრა 334 მოსწავლემ, მათგან კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სამეწველო საწარმოებში სამუშაოდ წავიდა 305, ხოლო 1960-1961 სასწავლო წელს 275 სკოლადამთავრებულიდან სახოგადოებრივ-სასარგებლო შრომას ეწევა 247.

შრომისა და სწავლის შეერთების მსგავს მაგალითებს იძლევიან გალის რაიონში.

მთელ საქართველოში გაითქვეს სახელი სიმინდის მაღალი მოსავლის ოსტატებმა კ. ჯობავამ, ვ. მიქაიამ. მაგალითად, კ. ჯობავა არა მარტო თვითონ აღწევს სიმინდის მაღალ მოსავლიანობას, არამედ მოწინავეა მთელი მისი რგოლი. იგი ამჟამად საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების მეორე კურსის სტუდენტია. ასეთი მაგალითები მრავლად გვხვდება აფხაზეთის სხვა რაიონებშიც.

მოყვანილი ფაქტები მეტყველებენ, თუ როგორი გავლენა მოახდინა გატარებულმა ღონისძიებებმა საბჭოთა ახალგაზრდობაზე, მის შრომითს აღზრდაზე, გაიზარდა მათი პასუხისმგებლობა დაკისრებული მოვალეობისათვის.

წელს საშუალო სკოლის კურსი დამთავრა აფხაზეთის სკოლების 1.720 მოსწავლემ. მათმა დიდმა უმრავლესობამ სერვილი გადაწყვიტა ჩიხლაძემ ქუთაისის მე-15 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ტყავფეხსაცმლის კომბინატში დაიწყო მუშაობა და მალე მოწინავე მკერავი გახდა. ახლა იგი კომუნისტური შრომის დამკვრელია. სურათზე: ჯ. ჩიხლაძე მის მიერ დამზადებული ფეხსაცმლის ხარისხზე ესაუბრება კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელს დ. ფორჩხიძეს.

ფოტო ე. ციციაშვილისა.

ენგურჰესის მშენებლობაზე

ზუგდიდის საწარმოოსწავლებიანი მეხუთე საშუალო სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლეები, რომლებიც საწარმოო პროფესიულ სწავლებას ენგურჰესის ღალდყომბინატის ფართო მოხმარების საამქროს ბაზაზე გადიოდნენ, ხალისით წავიდნენ ფართო მოხმარების საამქროში სამუშაოდ.

— გთხოვთ კომკავშირული საგზურით გამოვიანენ ენგურჰესის მშენებლობებზე, სურვილს გამოთქვამენ სკოლადამთავრებულები.

100-ზე მეტი განცხადება შემოიტანეს ახლახან სკოლადამთავრებულმა ჭაბუკებმა და ქალიშვილებმა. მათი სურვილი დაკმაყოფილა ენგურჰესის მშენებლობის ხელმძღვანელობამ. ახალგაზრდებმა იციან, რომ ცხოვრების დიდ გზაზე გამოსვლას სიძნელეები ახლავს. მაგრამ ამ სიძნელეებს როდი უშინდებიან.

ბ. ნოდია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

თეზიკო გეთია (ზევით) სწავლასა და შრომაში მისაბაძ მაგალითს იძლევა. მან ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათის საშუალო სკოლაში და მშობლიური სოფლის კოლმეურნეობაში მრავალი ჭება დაიმახსოვრა. დღეში იგი 40-50 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფს, სულ მოკრეფილი აქვს 1.500 კილოგრამზე მეტი. ქვედა სურათზე კი თქვენ ხედავთ, თუ როგორი ინტერესით უსმენენ თერჯოლის რაიონის სოფელ გოდოგნის საშუალო სკოლის მოსწავლეები ფერმის გამგის სოციალისტური შრომის გმირის გ. კორკოტაძის საუბარს მეცხოველეობის განვითარების შესახებ.

ფოტო ბ. სოკოლოვისა და ვ. ლუცენკოსი.

სიმწიფის ატესტატით

— ყავალე წარმოებაში, მხარში ამოვუდგები უფროსებს, მეც მოწინავე ვიქნები, — ასეთია იმ ახალგაზრდათა სურვილი, რომლებიც სიმწიფის ატესტატით მოდიან წარმოებაში. საშუალო სკოლადამთავრებულები ნუნუ შუმლაძე, თეკლე თიღილაური, იზო ლაგაზაური, ჟენა კვენტელაძე, თინა ჩაკვეტაძე, ლილი ჯამასპიშვილი... ასობით ასეთი ახალგაზრდა ჩამოვიდა ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონიდან სიმწიფის ატესტატით. ისინი მოვიდნენ გორის ბამბეულის კომბინატში სამუშაოდ, რათა საკუთარი შრომითი წვლილი შეიტანონ დიადი კომუნიზმის მშენებლობაში. მოვიდნენ და მოიტანეს შრომის დიდი სურვილი. მათ წარმატებით დაამთავრეს კომბინატთან არსებული ტექნიკური სასწავლებელი. შეისწავლეს არჩეული პროფესია — მრთველობა, დამოუკიდებლად დაიწყეს მუშაობა და ყოველდღიურად აძლიერებენ შრომის ტემპს, მალე მოწინავე ადამიანთა რიგებში ჩადგნენ. იმ ბრიგადას, რომლის წევრებიც ეს ხელმარჯვე ქალიშვილებია, კომუნისტური შრომის სახელი მიეკუთვნა. 118-120 პროცენტი! — ასეთია ბრიგადის თვითეული წევრის ყოველდღიური გამომშუშავების მაჩვენებელი. სულ ახლახან ამ ახალგაზრდებმა ათვისეს სახელგანთქმული ფეიერის ზეიცევას ნარის ჩაბმის ახალი მეთოდი. მოწინავე ხერხის დაუფლებაში მათ დიდად დაეხმარა სართავი ფაბრიკის უფროსი ინსტრუქტორი მერი მეჟღლიშვილი. მერი სიმწიფის ატესტატით მოვიდა წარმოებაში, მოწინავე მრთველი — ინსტრუქტორი გახდა.

სიმწიფის ატესტატით მოვიდა კომბინატში ვახტანგ ხეთაგურიც. ახლა იგი ქვეოსტატია. დაუსწრებლად დაამთავრა საფეიქრო ტექნიკუმი, კომკავშირელებმა ეს მოწინავე ახალგაზრდა ცალის კომკავშირული ორგანიზაციის მდივნად აირჩევს.

ყველა ზეიმობდა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილიალის გახსნას გორში. ბოკკოვან მასალათა ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები გახდნენ გამომყვანი ფაბრიკის სარომ-საკეცი საამქროს წევნმდებლები ცაცა როსტომაშვილი და გულორა სამხარაძე. მათაც ხომ სიმწიფის ატესტატით მოაშურეს საწარმოს. დაცალებებს ყოველდღე გადამეტებით ასრულებენ და სწავლამაც წარმატებები აქვთ.

სამეგრელო საამქროს მემანქანე ანზორ ფალელაშვილი, რომელმაც საფეიქრო ტექნიკუმი დამამთავრა და გეგმებს გადაჭარბებით ასრულებს, ბოკკოვან მასალათა ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტის მეორე კურსზე გადავიდა.

ყველა უბანზე მოწინავენი არიან წარმოებაში სიმწიფის ატესტატთ მოსულთა ახალგაზრდები. ყველა ისინი კომუნისტური შრომისა და კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის წევრები ან დამკვრელები არიან. ახალგაზრდები ც. სულთანიშვილი, მ. შიუკაშვილი, ნ. ჩერქეზიშვილი, ო. ქუთათელაძე, მ. მინდიაშვილი, ო. ქალანდაძე საწარმოო დავალებებს მნიშვნელოვანი გადამეტებით ანაღდებენ. ქუთათელაძე 30 სექსოვ დაზგაზე მუშაობს ნაცვლად 26-სა.

კომკავშირელი მ. მინდიაშვილი რამდენიმე დღეა, რაც ინსტრუქტორად გადაიყვანეს. მან ეს საქმე უფროს ინსტრუქტორ ქსენია მესხიშვილისაგან შეისწავლა. მინდიაშვილი ამაზე ჯერ კიდევ სამუშაო სკოლაში ოცნებობდა.

ისინ, არასოდეს არ შეარცხვენენ კომკავშირისა და სკოლის სახელს, ყოველთვის მოწინავენი იქნებიან შრომასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ბ. მაისურაძე,
გორის ბამბეულის კომბინატის კომკავშირის კომიტეტის მდივანი.

საქმე—ყველას

ბარგი ტრაფიკი დამკვიდრდა ჩვენ რაიონის მოსწავლე ახალგაზრდობაში. საშუალო სკოლის დამთავრებისა და სიმწიფის ატესტატის მიღების შემდეგ უსაქმოდ არავინ რჩება. დიდი უმრავლესობა ჩვენი დამბარებით იღებს ცხოვრების ნამდვილ სკოლას — საბჭოთა მეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოებსა და სამშენებლო ობიექტებზე, ხოლო ნაწილი — ტექნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში აგრძელებს სწავლას.

შარშან, მაგალითად, საშუალო სკოლის 134 კურსდამთავრებულიდან 114 შრომის საქმიანობაში ჩაება, ხოლო 20-მა სწავლა გააგრძელა. არა მარტო სკოლები, მთელი რაიონი ამაყობს ისეთი შესანიშნავი ახალგაზრდებით, როგორიც არიან სოფელ გვიშტიბის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები, ამჟამად აღგილობრივი მეურნეობის კომბინატის საკონსერვო ქარხნის მეშები ს. კახიანი და ა. შავნგრაძე, ცხინვალის საშუალო სკოლის კურსდამთავრებული, მოწინავე მესამენტი ბ. ქორქაშვილი, რომელიც კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციის მდივნად აირჩიეს.

მამდანარე წელს რაიონის საშუალო სკოლების 213 კურსდამთავრებულიდან, რომელთაგან 87-მა საწარმოოსწავლებიანი სკოლა დამთავრა, 171 უშუალოდ მიმართავს ფერმებსა და პლანტაციებში, აგრეთვე საწარმოებში იმუშავებს. გამოცდები სულ ახლახან დამთავრდა, მაგრამ ათობით ჰიბუმა და ქალიშვილმა უკვე მიიღო ცხოვრების საგზური. სოფელ რიონის საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ჩიტო ტურაბელაძე, რომელსაც ამაყე სოფლის კოკვიის სახელობის კოლმეურნეობაში მოსავლელად მიჩენილი აქვს ჩაის პლანტაცია, ყოველდღიურად 40-45 კილოგრამ ნედლეულს კრეფს. მშობლიურ კოლმეურნეობაში სამუშაოდ დარჩნენ აგრეთვე სოფელ მაღლაკის საშუალო სკოლის 43 კურსდამთავრებულიდან 33 საწარმოებსა და მშენებლობებზე იმუშავებს.

სოფელ გეგუთის საშუალო სკოლის 21 კურსდამთავრებულიდან, რომლებმაც საწარმოო სწავლება ამავე სოფლის მეძროვეობა-მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობაში გაიარეს, ათს მეცხოველის, ხოლო თორმეტს მეფრინველეობის კვალიფიკაცია მიენიჭა, ამ სკოლის ყველა მოსწავლე დგება მეურნეობის მუშათა რიგებში.

ყველაფერს გვაკეთებთ იმისათვის, რომ სამწიფის ატესტატით ცხოვრების ფართო გზაზე გამოსულებს შეეუქმნათ შრომისა და სწავლის საუკეთესო პირობები.

გ. ჟუთათელაძე,
წყალტუბოს მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

ნათელია ჩვენი მიზანი

დარეკა უკანასკნელმა სასკოლო ზარმა... თერთმეტკლასდამთავრებულ ები უკანასკნელად შეეხვდით ერთმანეთს სასკოლო მერხებზე რაოდენ სასიხარულოა და ამავე დროს ოდნავ სამწუხაროც. სამწუხაროა იმდენად, რამდენადაც ტოვებ ჩვენს მშობლიურ სკოლას, საყვარელ მასწავლებლებს. მაგრამ ჩვენს დიდ სიხარულს ეს მაინც ვერ ჩრდილავს: წინ ნათელი და ბედნიერი მომავალია, ფრთები ესხმება ჩვენს ოცნებას. ამ დღიდან ხომ ჩვენი დამოუკიდებელი შრომითი ცხოვრება იწყება. მაგრამ ეს ჩვენთვის უჩვეულო არ არის ჩვენი კლასი მთელი სამი წლის განმავლობაში გადიოდა საწარმოო სწავლებას ტყიბულის ელექტრონულ ელექტრომექანიკურ სახელოსნოში.

კარგად გვახსოვს ქარხანაში მისვლის პირველი დღეები.

რა თქმა უნდა, პირველად ჩვენთვის ეს მეტად უჩვეულო იყო; მაგრამ პრაქტიკის ხელმძღვანელების პედაგოგიური მზრუნველობისა და ჩვენი მონდომების წყალობით თანდათან ყველაფერს შევეჩვიეთ. ჩვენი კლასის 19 მოსწავლიდან ზოგმა ზეინკლის სპეციალობის შესწავლა დაიწყო, დანარჩენები კი ელექტროშეკინლკოვმან გაიტაცა. ამ სამი წლის განმავლობაში ჩინებულად დავეუფლეთ ამ სპეციალობებს. ამას თუნდაც ისიც მოწმობს, რომ ყველანი უკვე თანრიგოსანი მუშები გავხდით: უმრავლესობამ მე-2 თანრიგი მივიღეთ, ხოლო ზოგმა მე-3 და მე-4 თანრიგიც კი. ზოგნი კი ისე დაეუფლნენ ამ სპეციალობებს, რომ საბოლოოდ გადაწყვიტეს დარჩნენ ქარხანაში სამუშაოდ და წარმოებისაგან მოუწყვეტლივ მიიღონ უმაღლესი განათლება სა

მსოფლიო კონგრესისათვის რომ უმზადებლობდნენ, ბეგრი ქვეყნის მხატვრებმა შექმნეს საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობისათვის ბრძოლისადმი მიძღვნილი პლაკატები. ზოგიერთ ამ პლაკატს დღეს ვთავსებთ.

დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის მიერ გამოფენილი პლაკატი (მარცხნივ), **კუბაში გამოცემული პლაკატი** (მარჯვნივ).

ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარი
მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია

ვაშინგტონი, 17 ივლისი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარი ამერიკელ ჟურნალისტთა ჯგუფთან მთავარი თემაა გაზეთ „ვაშინგტონ პოსტ ენდ ტაიმს ჰერალდის“ დღევანდელი ნომრისა. ეს ერთადერთი დილის გაზეთია ამერიკის დედაქალაქში. იგი პირველ გვერდზე ათავსებს ამ საუბრის დაწვრილებითს შინაარსს, რომლის ავტორია ამერიკელ ჟურნალისტთა დელეგაციის წევრი რობერტ ესტაბრუკი. ამავე დროს ქვეყნდება ინტერვიუს შემოკლებული ტექსტი.

ამერიკელ ჟურნალისტებთან ნ. ს. ხრუშჩოვის საუბრის შესახებ თავიანთი მოსკოველი კორესპონდენტების სტატიებს აქვეყნებენ აგრეთვე ნიუიორკის დილის გაზეთები. ამ კორესპონდენციებში გაზეთები უწინარეს ყოვლისა გამოაყოფენ საბჭოთა მთავრობის მეთაურის განცხადებას იმის შესახებ, რომ სსრ კავშირს აქვს ისეთი გლობალური რაკეტები, რომელთა მოსპობა რაიმე ანტირაკეტული საშუალებებით შეუძლებელია და რომლებიც შეიძლება ბუზს მოვახვედროთ კოსმოსში. „ვაშინგტონ პოსტ ენდ ტაიმს ჰერალდი“ გამოაყოფს აგრეთვე ნ. ს. ხრუშჩოვის ნათქვამს, რომელიც გერმანიის მშვიდობიან მოწესრიგებას შეეხება.

ბრიუსელი, 17 ივლისი. (საკდესი). ბელგიის ყველა გაზეთი ათავსებს ცნობას ნ. ს. ხრუშჩოვის საუბრის შესახებ ამერიკელ ჟურნალისტთა ჯგუფთან.

გაზეთები გამოაყოფენ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვებს იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირს ამჟამად აქვს 8 ისეთი გლობალური რაკეტა, რომლის მოსპობა რაიმე ანტირაკეტული საშუალებით შეუძლებელია და რომელიც დიდი სიზუსტით შეიძლება მოხვდეს ყოველ მიზანში.

გაზეთები აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნავენ: ნ. ს. ხრუშჩოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობა მზად არის არ აწარმოოს ატომური იარაღის გამოცდები, თუ შეეთანხმებული შტატები შეწყვეტენ თავიანთ გამოცდებს და მიღწეულ იქნება შეთანხმება საყოველთაო და სრული განიარაღებისა და ატომური იარაღის მოსპობის შესახებ.

ბუქარესტი, 19 ივლისი. (საკდესი). რუმინეთის გაზეთებმა დღეს გამოქვეყნეს შინაარსი ნ. ს. ხრუშჩოვის საუბრისა ამერიკელი ჟურნალისტების ჯგუფთან.

გაზეთი „სკინტეია“ ხაზს უსვამს სათაურში, რომ საბჭოთა კავშირი ყოველ მომენტში მზად არის ხელი მოაწეროს შეთანხმებას საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ. „აბერარია პატრიეი“ აღნიშნავს ნ. ს. ხრუშჩოვის განცხადებას იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირს აქვს გლობალური რაკეტა, რომელსაც ვერავითარი ანტირაკეტული საშუალება ვერ მოსპობს. „მუნკა“ გამოყოფს ნ. ს. ხრუშჩოვის საუბრიდან იმ ადგილს, სადაც ის ლაპარაკობს საბჭოთა მთავრობის ღონისძიებებზე, რომელთა მიზანია საბჭოთა ხალხის მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

საუბრის ტექსტი გადაცემული იყო აგრეთვე ბუქარესტის რადიოთი.

ბერლინი, 18 ივლისი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დღევანდელი გაზეთები, აქვეყნებენ რა პირველ გვერდზე ცნობას ნ. ს. ხრუშჩოვის საუბრის შესახებ ამერიკელი ჟურნალისტების ჯგუფთან, ხაზს უსვამენ, რომ საბჭოთა მთავრობის მეთაურმა კიდევ ერთხელ დადასტურა მისწრაფება საყოველთაო და სრული განიარაღებისაკენ, გერმანიის საზავო ხელშეკრულების ხელმოწერისაკენ და დასავლეთ ბერლინში ამჟამად არსებული მდგომარეობის მოსპობისაკენ, როცა ეს ქალაქი ფაქტიურად სამხედრო პლაცდარმად არის გადაქცეული.

ნ. ს. ხრუშჩოვი გონიერებისაკენ მოუწოდებს ამერიკის შეერთებულ შტატებს, აღნიშნავს „ბაუერნ-ეკო“.

ვერავითარი შეკრა, ხაზს უსვამს გაზეთი „ტრიბიუნე“, ვერ დაიბრკოლებს საზავო ხელშეკრულების დადებას. გაზეთი „დერ მორგენი“ გამოყოფს საუბრიდან იმ ადგილს, სადაც ნ. ს. ხრუშჩოვი ამბობს, რომ საბჭოთა კავშირს აქვს ზუსტი რაკეტასწინააღმდეგო საშუალებანი.

მოსკოვი, 17 ივლისი. (საკდესის კორ.). გაზეთში „მოსკოვსკაია პრავდა“ გამოქვეყნა ედ. მატუსევიჩის რეცენზია ქართული კომედიის „მე, ბებია, ილარიონი და ილარიონის“ შესახებ.

„არაჩვეულებრივი და ტალანტიანად საგულისხმო სპექტაკლით დაიწყო თავისი გასტროლები მოსკოვში თბილისის მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა. თვითონ განსაჯეთ: კომედია, რომელსაც თან ახლავს განუწყვეტელი ხარხარი მაყურებელთა დარბაზში.“

ამ სტატიებით იწყებს რეცენზიას ედ. მატუსევიჩი და დიდრილებით აანალიზებს კომედიის კომპოზიციას. იგი აკეთებს დასკვნას, რომ ეს ორიგინალური ნაწარმოები, რომელსაც არა აქვს ექსპოზიცია, კვანძი, კულმინაცია, თითქოს არღვევს დრამატურგიული წყობის, კონფლიქტის ყოველგვარ ურყევ კანონს, ფორმალისტიკაც არ შეიძლება იყოს პიესა. შემდეგ რეცენზენტი აცნობს მკითხველებს ნ. დუმბაძის ამ მოთხრობას, რომელიც განახორციელა რეჟისორმა ვ. ლორთქიფანიძემ ისე, რომ არ მიუმართავს ეფექტებისათვის, რაშიაც რეცენზიის ავტორი ხედავს ლიტერატურისა და თეატრის ურთიერთდამოკიდებულების ახალ ფორმებს, იგი ხაზგასმით აღნიშნავს მხატვარ ო. ლეონიშვილის სიხალვითი გადაწყვეტილებებს, ზუსტ განზოგადებას და ხაზს უსვამს, რომ ეს მოდის წინაშე ეალის მოდა კი არ არის, არამედ შედეგია მისწრაფებისა არ ჩამოაშოროს მაყურებლის ყურადღება ჭეშმარიტად ბიწყინვალე ლიტერატურულ ტექსტს, რომელიც სცენური სანეების გამოძერწვის, განუმეორებელი სცენური ატმოსფეროს შექმნის ერთადერთი მასალაა. ასევე ორგანულად და შთაგონებულად ერწყმოდა ერთ-ერთ ფერადოვან ფონზე ბალეტ „ბიგბენ“ ...

არაჩვეულებრივი სპექტაკლი

„მოსკოვსკაია პრავდა“ ქართული კომედიის ირგვლივ

ეროსაგან ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულგარეთ ... ...

ახალი ამბები

მსოფლიო ფორუმი ვაზის ქვეყანაში

სექტემბერში საქართველოში მუშაობას დაიწყებს მევენახეობისა და მეღვინეობის X საერთაშორისო კონგრესი. მასში მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოს თითქმის ყველა, იმ ქვეყნის წარმომადგენლები, სადაც კი განვითარებულია მევენახეობა და მეღვინეობა.

მიღებულია კონგრესის მუშაობის პროგრამა. მევენახეობისა და მეღვინეობის X საერთაშორისო კონგრესის პლენარული სხდომა გაიხსნება 18 სექტემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

მევენახეობისა და ეკონომიკის დარგში კონგრესი მოისმენს შემდეგ გეხელურ მოხსენებებს: „სუფრის ყურძნის წარმოება, მისი შენახვა და ტრანსპორტირება“ — მომხსენებელი კ. სტოეკი (ბულგარეთი), „ეუხსახების დამუშავების მექანიზაცია“. — რ. დელენბახი (საფრანგეთი), „ვაზის კულტურის ისტორია საბჭოთა კავშირში“ — მ. მელიახი (სსრკ), „მოლდოვეთის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი პრეპარატები“ — ს. სიბილა (იტალია).

მეღვინეობის დარგში მოხსენებებით გამოვალენ ჟ. რიბერო-გაიონი (საფრანგეთი) — „დაჟანგვა-აღდგენის პროცესები ღვინის მომზადებისა და ძაძილების პერიოდში“. ა. ოპარინი (სსრკ) — „ღვინის ბიოქიმია“, ს. დურმიშიძე (სსრკ)— „ოლიმპოლური დეკალის შედეგად მეორადი პროდუქტების წარმოშობა და ქიმიზმის შესწავლა“, გ. აგაბაბიანცი (სსრკ) — „შუამხანა ღვინოების წარმოების მეცნიერული საფუძვლები და სხვ.

კონგრესის პრეზიდენტია ბ. ლერუა, დირექტორი — რენე პოტენი (საფრანგეთი).

საქართველოში ამჟამად დიდი მზადება მიმდინარეობს კონგრესისათვის. მოეწყობა გამოფენები მებაღეობა-მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტსა და საქართველოს სსრ სამრეწველო გამოფენის ტერიტორიაზე. ამ გამოფენებზე ეკსპონირებული იქნება სსრ კავშირში მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარების ამსახველი მასალები. წარმოდგენილი იქნება ქართული, მარკის ღვინოები, საბჭოთა შამპანურისა და ქართული კონიაკის ნიმუშები, რომლებმაც მსოფლიო აღიარება ჰპოვეს.

კონგრესის მონაწილენი გაეცნობიან თბილისსა და მისი ახლომახლო ადგილების ისტორიულ და ღირსშესანიშნავ ადგილებს, დათვალიერებენ მეღვინეობის საწარმოებს თბილისში, გურჯაანში, წინანდალში, ნაფარეულში, თელავში და სხვ. გაეცნობიან კოლეგიურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობას.

კონგრესი დაიხურება 25 სექტემბერს. კონგრესის დამთავრების შემდეგ მსურველებისათვის შეიქმნება საექსკურსიო ჯგუფები საქართველოში, სომხეთში, უზბეკეთში, უკრაინაში სამოგზაუროდ.

„დარკ დაკსი“ გლერის „სულიკოს“

ჩვენს ქვეყანაში სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს მოწვევით ჩამოვიდა იაპონიის ცნობილი ვოკალური კვარტეტი „დარკ დაკსი“ („მავი იხვები“). კვარტეტის შემადგენლობაში არიან ტაკამიძავა ხორომუ, სასაკი მიტომასა, კისო ტეცუ, ტოიამა ხაძიმე და პიანისტი ხატორი კაცუხისა.

საბჭოთა მსმენელებმა ეს ნიჭიერი კოლექტივი პირველად 1960 წელს გაიცნეს იაპონური ესტრადის გასტროლების დროს. ამჟამად კვარტეტი გამართავს დამოუკიდებელ კონცერტებს. მის რეპერტუარშია იაპონური, ფინური, ამერიკული, ებრაული, ჩინური ხალხური და თანამედროვე სიმღერები.

— საბჭოთა მსმენელებისათვის მოკაშაზადეთ სიურპრიზი, — თქვა კოლექტივის ხელმძღვანელმა მასაო კიმურამ, — კონცერტებზე კვარტეტი შეასრულებს საბჭოთა კომპოზიტორის ერთ ლირიულ სიმღერას და ქართულ ხალხურ სიმღერას „სულიკოს“.

გ. ვ. გურგენიძე— მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი



საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კვების სამეცნიერო-საკვლევი ლაბორატორიის სამკურნალო კვების კლინიკური განყოფილების გამგედ, უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა გურამ ვლადიმერის-ძე გურგენიძემ თბილისის სახელმწიფო სამეცნიერო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ერა სხდომაზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „კლინიკურ-ექსპერიმენტული მასალები ბრონქული ასთმის პათოგენეზისადმი“.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა სატესტაციო კომისიამ დაამტკიცა გ. ვ. გურგენიძისათვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიკუთვნება.

ამერიკის შეერთებული შტატები. ატომური განიარაღების მომხრეთა ჯგუფი პროტესტის ნიშნად გემ „ევრიმენინ“ გაემართა იმ ადგილისაკენ, სადაც წარმოებს ამერიკის შეერთებული შტატების ატომურ მოწყობილობათა გამოცდა. მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებული შტატების სამატრულო ხომალდებმა „ევრიმენი“ დაიკავეს, ჰოლლულულუდან გავიდა მეორე ჯგუფი. იახტა „ევრიმენ II-ით“, ისიც დაიკავეს.

სურათზე: პიკეტი ნიუ-იორკში სასამართლოს შენობის წინ. პლაკატებზე წარწერებია: „ჩვენ მხარს ვუჭერთ „ევრიმენს“.

ფოტო პრენსა ლატინა-საკვლისა.

ჩვენი სტუმარი

ჯანკარლო ვიგორელი საქართველოში

საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის კონგრესის მიმდინარეობის დღეებში „ლიტერატურნაია გაზეტას“ კორესპონდენტი ესაუბრა კონგრესის რამდენიმე დელეგატს. მათ შორის იყო დელეგატი იტალიიდან ჯანკარლო ვიგორელი, ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ევროპის მწერალთა გაერთიანების გენერალური მდივანი.

ჯერ კიდევ მაშინ ჯანკარლო ვიგორელიმ კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ კონგრესის დამთავრების შემდეგ ოცნებობს საქართველოში ჩასვლაზე, სადაც იგი მიიწვია ქართველმა პოეტმა გიორგი ლეონიძემ.

და აი გუშინ იტალიელ მწერალს ჯანკარლო ვიგორელის თბილისის აეროდრომზე გულთბილი შეხვედრა მოუწყეს ქართველმა პოეტებმა და ნწერლებმა.

ჯანკარლო ვიგორელი მეხუთეჯერ ჩამოდის სსრ კავშირში. საქართველოში კი პირველად არის. მიუხედავად ამისა იგი იცნობს ქართულ პოეზიას მისი რედაქტორობით გამომავალი ჟურნალის „ლიტერატურნაია ევროპას“ ფურცლებიდან, სადაც სხვადასხვა დროს დაბეჭდილია გიორგი ლეონიძის, ირაკლი აბაშიძის, სიმონ ჩიქოვანის, გრიგოლ აბაშიძის, იოსებ ნონეშვილის ნაწარმოებები.

ახლა მას სურვილი აქვს უფრო ახლოს გაეცნოს ჩვენი რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებას, ქართველ მწერალთა შემოქმედებას.

იტალიელი მწერალი საქართველოში რამდენიმე დღეს დაჰყოფს.

სტარტზეა სიჭაბუკე, სილამაზე

საფარიკაო ბილიკებზე

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტული დარბაზი მიმზიდველ ასპარეზობას მოუცავს. აქ ორი დღეა გრძელდება შეუპოვარი პაექრობა ფარიკაობაში, რომელიც სტუდენტთა საკავშირო თამაშების პროგრამით არის გათვალისწინებული.

ასპარეზობის გახსნა წილად ხმლით მებრძოლებს ხვდათ. ფინალში 9 სპორტსმენი მოხვდა. მათ შორის იყო საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამი სპორტსმენი — მ. სახვაძე, მ. ადეიშვილი, ი. კოვაჩევიჩი.

დასკვნითს ბრძოლაში ადგილი ჰქონდა ზოგიერთ მოულოდნელობებს. მაგალითად, პირველობის მთავარმა პრეტენდენტებმა მ. სახვაძემ და სსრ კავშირის ერთ-ერთმა უძლიერესმა მოფარიკავე ვ. ხარხალუმმა (უზბეკეთი, „ბურევესტნიკი“) მოულოდნელი დამარცხება განიცადეს, მაგრამ პირველობის ბედი მაინც ამ ორი სპორტსმენის შეჯიბრებამ გადაწყვიტა. გაიმარჯვა ვ. ხარხალუმმა ანგარიშით 5:2 და სტუდენტთა თამაშების ჩემპიონი გახდა. მომდევნო ორი საპრიზო ადგილი დაიკავეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა მ. სახვაძემ და მ. ადეიშვილმა.

გუშინ მიმდინარეობდა გუნდური შეჯიბრება ხმლით ბრძოლაში. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა დაამარცხა ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდები ანგარიშით 5:3, 5:2, თავის ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა და ნახევარფინალში გავიდა.

საქართველოს ფეხბურთელები — ფინალში

მელიტოპოლსა და ეისკში რამდენიმე დღეს გრძელდებოდა წინასწარი შეხვედრები ფეხბურთში სტუდენტთა თამაშების ფინალისტთა გამოსავლენებლად. შეჯიბრებაზე წარმატებით გამოვიდა საქართველოს სახელოო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდი, რომელმაც თავის ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა.

ამრიგად, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდი მონაწილეობას მიიღებს ფინალურ ასპარეზობაში, რომელიც თბილისში გაიმართება 22 ივლისიდან.

ვენტსპილსის ტრეკზე

სტუდენტ ველოსიპედოსთა ასპარეზობა შედგა ლატვიის ქ. ვენტსპილსის ტრეკზე.

ფიზკულტურის ინსტიტუტთა კოლექტივებს შორის გამარჯვება მოსკოველებს ხვდათ. მომდევნო ორი ადგილი დაიკავეს ლენინგრადისა და ლატვიის გუნდებმა.

უმაღლეს სასწავლებელთა შორის პირველ ადგილზე გამოვიდა ლენინგრადის სატაეო-ტექნიკური აკადემიის ველოსიპედოსთა კოლექტივი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა მეექვსე ადგილი დაიკავა.

ფინალისტები გამოვლინდნენ

გრძელდება სტუდენტთა თამაშების დასკვნითი ასპარეზობა ჩოგბურთში.

ფიზკულტურის ინსტიტუტების კოლექტივებს შორის გაიმართა ნახევარფინალური შეხვედრები. მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა იოლი გამარჯვება მოიპოვა უზბეკეთის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდზე ანგარიშით 4:0 და ფინალში გავიდა. მეორე ფინალისტი გამოვლინდა თბილისისა და კიევის ფიზკულტურის ინსტიტუტების გუნდების შეხვედრაში. პირველი გამარჯვება თბილისელებს ბაქრაძემ მოუტანა, რომელმაც ანგარიშით 2:0 (9:7, 6:2) დაამარცხა უკრაინელი კარპენკო. ბრძოლა გამწვავდა, უკრაინელებმა რევანში აიღეს სხვა შეხვედრებში. ვაუთა წყვილების უკანასკნელმა შეჯიბრებამ გადაწყვიტა მატჩის ბედი. ბაქრაძემ და ფარაევსკიმ ანგარიშით 2:0 (6:4, 6:2) დაამარცხეს კარპენკო და ვენიამინოვი. შეხვედრის საერთო ანგარიშია 4:2 თბილისელთა სასარგებლოდ.

ტექნიკური და ჰუმანიტარული უმაღლესი სასწავლებლების გუნდებს შორის გუშინ მიმდინარეობდა ბრძოლები ხახვარფინალში გასვლისათვის. კიევის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა ანგარიშით 4:0 დაამარცხა ლვოვის თანაკლასელები. ტარტუს უნივერსიტეტის გუნდმა მოუგო მოსკოვის ენერგეტიკის ინსტიტუტის გუნდს 4:3, ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა — ბელორუსიის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდს 4:0.

თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა დაამარცხა მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდი 4:1. და ნახევარფინალში გავიდა. ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდებიან: ლენინგრადისა და ტარტუს უნივერსიტეტების და თბილისისა და კიევის პოლიტექნიკური ინსტიტუტების გუნდები.

• • •

სურათზე სპორტის ოსტატი ი. ერმოლაევა. (თბილისი).

ფოტო გ. კიკვაძისა.
(საქართველოს ფოტოქრონიკა).

ა. დინის ფანდები ნაკერია თეთრი ძაფით

ქენევა, 17 იგლისი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტი ი. მაზორი იუწყება:

18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის დღევანდელმა პლენარულმა სხდომამ განსაკუთრებული სიცხადით გამოავლინა ის, რომ არსებობს ორი მიდგომა საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ ხელშეკრულების დადების გადაუდებელი პრობლემისადმი — სოციალისტური ქვეყნების მტკიცე მისწრაფება რაც შეიძლება მალე გადაჭრან ეს ამოცანა და დასავლეთის სახელმწიფოთა მისწრაფება დისკუსია დაუსრულებელ სალაყბოდ გადააქციონ.

ეს გამოვლინდა უწინარეს ყოვლისა ბაზონ, როცა განიხილავდნენ საკითხს თათბირის მუშაობის შემდგომი წესრიგის შესახებ. რუმინეთისა და ჩეხოსლოვაკიის დელეგაციებმა აღნიშნეს, რომ საჭირო განვიხილოთ თათბირზე შეტანილი ორი პროექტის მუხლობრივი განხილვა, სახელდობრ. საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ ხელშეკრულების საბჭოთა პროექტისა და ამერიკის „ხელშეკრულების ძირითად დებულებათა სქემისა“. მაგრამ ინგლისის წარმომადგენელმა დ. გოდბერმა შეიტანა წინადადება წარმართონ დისკუსია არა ხელშეკრულების პროექტების შესახებ, არამედ განიარაღების ცალკეულ ტექნიკურ პრობლემებზე. მან კიდევაც წარმოადგინა ასეთი პრობლემების ნუსხა.

რუმინეთისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებმა გამოაშკარავეს დასავლეთის სახელმწიფოების საპროცედურო მანერების ნამდვილი მოტივები.

მნიშვნელოვანი ადგილი დღევანდელ დისკუსიაში დაეთმო საკითხს ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ. ინდოეთის დელეგატმა ა. ლალმა აღნიშნა, თუ რა პასუხისმგებლობა ეკისრებათ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სსრ კავშირს ამ ამოცანის გადაჭრისათვის, და განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ამ ხრიკებისა და ფანდების მხილებას, რომელთა საშუალებით ამერიკის შეერთებული შტატები თავს არიდებენ ამ პრობლემის განხილვას კომიტეტის მონაწილეთა ერთმანეთს ეცილებოდნენ ამ ფანდების ბოროტებაში. ინდოეთის დელეგატის მტკიცებით, არა მარტო სსრ კავშირი, არამედ ამერიკის შეერთებული შტატებიც დათანხმდებენ მიიღონ ეს მემორანდუმი საფუძვლად.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი ა. დინი ერცელ და აოეულ-დარეულ სიტყვაში შეეცადა „გაეჭარხლებინა ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია.

სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ვ. ა. ზორინმა კომიტეტის ყურადღება მიაქცია ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატის ამ აღიარებაზე, რათა არავითარი გაურკვევლობა არ იყოს იმის შესახებ, თუ როგორ ეკიდებიან დასავლეთის სახელმწიფოები რვა ქვეყნის მემორანდუმს. დისკუსიამ დღევანდელ სხდომაზე ერთხელ კიდევ გამოავლინა ამერიკის შეერთებული შტატების უბადრუკი პოზიცია ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის უმწვავეს საკითხში.

მოლაპარაკება ქენევაში განიარაღების საკითხებზე

ტელეგრაფი გვატყობინებს

△ **დიდი** წარმატებით მიმდინარეობს ბულგარეთში საბჭოთა ცირკის მსახიობთა ჯგუფის გასტროლები. ორი თვის განმავლობაში ისინი გამოვიდნენ ქალაქებში სტარა-ზაგორაში, ხასკოვოსა და ვარნაში. 16 ივნისიდან საბჭოთა მსახიობები ბულგარელ და უნგრელ მსახიობებთან ერთად მონაწილეობენ სპექტაკლის „მამაცთა ასპარეზობის“ პრემიერაში დედაქალაქის ახლახან გახსნილ ცირკში.

△ **პავანაში** ხელი მოაწერეს სსრ კავშირისა და კუბის რესპუბლიკის შეთანხმებას მოსკოვსა და ჰავანას შორის რეგულარული პირდაპირი საჰაერო მიმოსვლის დაწესების შესახებ. ახალ ავიახაზს მომსახურებას გაუწევს თვითმფრინავები „ტუ-114“.

△ **დასავლეთ** ბერლინის ერთ-ერთ კინოთეატრში კვლავ უჩვენებენ საბჭოთა მხატვრულ ფილმს „ბალადა ჯარისკაცზე“. დასავლეთ ბერლინის გაზეთებმა გამოაქვეყნეს რეცენზიები, რომელთა ავტორები დიდი სითბოთი წერენ ფილმის შინაარსის, მისი მაღალი ჰუმანურობისა და რეჟისორ გ. ჩუხრაის ოსტატობის შესახებ.

△ **თურქეთში** 1.000 დაბადებული ბავშვიდან 165 კვდება. მათგან თითქმის ნახევარი — სამ-ოთხ წლამდე ასაკში. განსაკუთრებით მაღალია ბავშვთა სიკვდილიანობა სოფლებში. ძალიან ბევრი ბავშვი კვდება პოლიომიელიტისაგან.

△ **პეკინში** ხელი მოაწერეს ოქმს ჩინეთსა და ჩეხოსლოვაკიას შორის 1962 წლისათვის საქონელგაცვლისა და გადასახდელთა შესახებ.

წარუმატებელი ცდა

ნიუ-იორკი, 17 იგლისი. (საკდესი). როგორც ჟურნალ „ნიუსუიკის“ კორესპონდენტი იუწყება პორტ-ქუგდან (ალეფორნიის შტატი), გუშინ პირველად სცადეს აქედან გაშვებული საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტის „ატლასის“ ჩამოგდება. რაკეტის, საწინააღმდეგო ჭურვის „ნიკა-ზეუსის“ საშუალებით.

მაგრამ ცდა წარუმატებლად დამთავრდა იმის გამო, რომ ჭურვის „ნიკა-ზეუსის“ მეორე საფეხური მწყობრიდან გამოვიდა.

სსრ კავშირის ელჩი შეხვდა კენედის

ვაშინგტონი, 18 იგლისი. (საკდესი). გუშინ სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ა. ფ. დობრინინი თეთრ სახლში ეწვია პრეზიდენტ ჯ. კენედის მისი მიწვევით და ესაუბრა მას. შეხვედრის შემდეგ თეთრი სახლის პრეს-მდივანმა პ. სელინჯერმა განუცხადა კორესპონდენტებს, რომ პრეზიდენტი განიხილავდა ა. ფ. დობრინინთან ბერლინის მდგომარეობის, განიარაღებისა და ლაოსის საკითხებს.

მაკმილანის კაბინეტს უნდობლობა გამოუცხადეს

ლონდონი, 18 იგლისი. (საკდესი). გუშინ საღამოს ლეიბორისტთა ოპოზიციამ თემთა პალატის დღის წესრიგში შეიტანა მთავრობისადმი უნდობლობის რეზოლუცია, რომელშიც მოითხოვს დაიარეოვან პარლამენტი და მოაწყოს საყოველთაო არჩევნები.

რეზოლუციაში, რომელიც გუშინ მიიღეს ლეიბორისტული პარტიის „ჩრდილოვანი კაბინეტის“ სხდომაზე, ნათქვამია: თემთა პალატა აცხადებს, რომ მთავრობა აღარ სარგებლობს სახელმწიფოს ნდობით, და ამიტომ იგი მოუწოდებს პრემიერ-მინისტრს უოჩოის დედოფალს დაითხოვოს პარლამენტი, რათა შესაძლო გახდეს საყოველთაო არჩევნების მოწყობა.

რეზოლუციას ხელს აწერენ ლეიბორისტული პარტიის ლიდერი გეიტსკელი, ლიდერის მოადგილე ბრაუნი და „ჩრდილოვანი კაბინეტის“ სხვა წევრები.

ლონდონში პოლიტიკურ მეთვალყურეებს მიაჩნიათ, რომ რეზოლუცია პირდაპირი შედეგია კაბინეტის რეორგანიზაციისა, რაც მაკმილანმა მოახდინა უკანასკნელ რამდენიმე დღეში.

ოფიციალური ბიულეტენი

მოფარიკავეთა მსოფლიო ჩემპიონატზე

გუენოს-აირესი, 18 იგლისი. (საკდესის სპეც. კორ. ო. არხიპენკო). საბჭოთა სპორტსმენები მარკ მიდლერი და გერმან სვეშნიკოვი გავიდნენ რაპირისტთა ასპარეზობის ფინალში მსოფლიოს 26-ე ჩემპიონატზე ფარიკაობაში.

დიდი სიმტკიცე გამოიჩინა ბრძოლებში მიდლერმა, ხოლო ასპარეზობის ნამდვილი გმირი გახდა სვეშნიკოვი. ნახევარფინალში იგი გავიდა მხოლოდ წყვეტის შემდეგ, იქ კი პირდაპირ გაანადგურა მეტოქეები. ერთნაირი ანგარიშით 5 : 0 მან დაამარცხა მსოფლიოს ჩემპიონი პოლონელი რიშარდ პარუსსკი და მსოფლიოს ექს-ჩემპიონი უნგრელი ო�ეფ დიურიცა. უნგრელი სპორტსმენი გავიდა შეჯიბრებიდან, პოლონელი კი მოხვდა ფინალში მხოლოდ წყვეტის შედეგად. სვეშნიკოვმა მოხიბლა ბუენოსაირესის მცხოვრებნი ბრძოლის შეტევითი მანერით. მაყურებლები ტაშით აჯილდოვებდნენ მის ყოველ გამარჯვებას.

რუმინელი მოჰიდავეები უკრაინაში

რუმინელი მოჰიდაველები განაგრძობენ ტურნეს საბჭოთა კავშირში. თბილისსა და გორში გამოსვლის შემდეგ ისინი კიევს ეწვევნენ და 17 იგლისს შეხვდნენ უკრაინის ნაკრებ გუნდს. საბჭოთა მოჰიდაველებმა შეხვედრა კვლავ წარმატებით ჩაატარეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 6:2.

კონსერვატორების ჭირის ოფლი

ლონდონი, 18 იგლისი. (საკდესი). გუშინ ინგლისის თემთა პალატაში პარლამენტის წევრმა — კონსერვატორმა ტერტონმა პრემიერ-მინისტრ მაკმილანს მიაცა შეკითხვა, რა ინფორმაცია მიიღო მან ადეაუერისა და დე გოლისაგან მათი იმ გადაწყვეტილების შესახებ, რომ უახლოეს მომავალში გაართონ მოლაპარაკება ევროპის პოლიტიკური კავშირის შექმნის თაობაზე. როცა პასუხად გაიგონა, რომ ინგლისის მთავრობამ მიიღო „სრული ანგარიში“, ტერტონმა წინადადება მისცა მაკმილანს გარკვევით უთხრას საფრანგეთსა და დასავლეთ გერმანიას, რომ მიუხედავად იმისა, თუ როგორ დამთავრდება მოლაპარაკება „საერთო ბაზარში“ ინგლისის მიღების შესახებ, იგი უარს იტყვის შევიდეს ევროპის პოლიტიკურ კავშირში.

მაკმილანმა უარი თქვა ეკისრა ამგვარი ვალდებულება და დაიმოწმა, რომ ეს პრობლემა „ჩამოყალიბების პერიოდშია“ და ინგლისი თითქოს შეძლებს გამოაცხადოს თავისი პოზიცია, როცა ძალ გააცნობენ მოლაპარაკების მსვლელობას.

ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა გეიტსკელმა ეს ბასუხი ბუნდოვნად მიიჩნია და მოითხოვა, რომ ინგლისის მთავრობამ უთუოდ განაცხადოს, რომ იგი არ დაეთანხმება არავითარ პოლიტიკურ ვალდებულებებს ევროპაში, გარდა იმ ვალდებულებებისა, რომლებიც ჩამოყალიბებულია რომის ხელშეკრულების ზოგად ფორმულებში. გეიტსკელმა აღნიშნა, რომ იხგლისმა უკვე მიმართა თხოვნით ნება დართონ მონაწილეობა მიიღოს მოლაპარაკებაში, რომელიც მიზნად ისახავს უფრო მჭიდრო პოლიტიკური კავშირის ძექმნას, ვიდრე გათვალისწინებულია რომის ხელშეკრულებით. ოპოზიციის ლიდერმა მოსთხოვა მაკმილანს გარკვევით განაცხადოს, რომ ანლანდელ ეტაპზე ინგლისი არ იკისრებს არავითარ პოლიტიკურ ვალდებულებას.

პრემიერ-მინისტრმა უარი თქვა ამაზე და ამტკიცებდა, რომ რამდენადაც პოლიტიკური დისკუსია წარმოებს „საერთო ბაზარში“ ინგლისის შესვლის შესახებ მოლაპარაკებისაგან ცალკე, ეს საკითხი თითქოს საერთოდ არ დგას.

ლიბერალური პარტიის ლიდერმა გრიმონდმა განაცადა, რომ ევროპის კონტინენტის ყველა მცხოვრებს „საერთო ბაზარი“ მიაჩნია არა მარტო ეკონომიურ, არამედ აგრეთვე პოლიტიკურ გაერთიანებად.

მაკმილანი დაეთანხმა ამას, მაგრამ კვლავ განაცხადა, რომ ინგლისს შეუძლია მიიღოს მონაწილეობა პოლიტიკურ მოლაპარაკებაში ისე, რომ არ იკისროს ვალდებულებანი.

„ბურევესტნიკის“ აუტსაიდერთა რიგებში

17 ივლისს მოსკოვში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის ძოლიგი შეხვედრა კალათბუთთში ეაკთა კოლექტივებს ძოლის. თამაშობდნენ დედაქალაქის „დინამოსა“ და თბილისია „ბურევესტნიკის“ კუნდები. დინამოელებმა თავიდანვე ხელთ იგდეს ინიციატივა და მოიგეს შეხვედრა ანგარიშით 63:53. ეს თბილისის „ბურევესტნიკის“ მე-13 დამარცხებაა, რაც გაკვირვებას იწვევს.

ჩეკპიონატის ცხრილში მეტოქეთა მდგომარეობა ასეთია: ოიგის სკა-ს 15 თამაშიდან 15 ქულა აქვს, ცსკა-ს — 17 თამაშიდან 15 ქულა, კიევის „სტრო�ტელ“ — 17 თამაშიდან 11 ქულა, ლენინგრადის „სპარტაკს“ — 17 თამაშიდან 10 ქულა, თბილისის „დინამოს“ — 12 თამაშიდან 9 ქულა, მოსკოვის „დინამოს“ და რიგის ვეფ-ს — 16 თამაშიდან რვა-რვა ქულა, ტარტუს „ალეევს“ — 16 თამაშიდან 6 ქულა, სვერდლოვსკის „ურალმაშს“ — 13 თამაშიდან 5 ქულა, კიევის სკა-ს — 17 თამაშიდან 4 ქულა, თბილისის „ბურევესტნიკს“ — 14 თამაშიდან 1 ქულა, ლენინგრადის სკა-ს — 16 თამაშიდან 1 ქულა.

„დინამო“ გფრ-ში გაემგზავრება

გუშინ მოსკოვიდან შვეიცარიაში გაემგზავრა სსრ კავშირის თასის მფლობელი დინამოელთა „შაბტიორის“ ფეხბურთელთა კოლექტივი. საბჭოთა ფეხბურთელები ადგილობრივ საკლუბო გუნდებთან სამ საერთაშორისო შეხვედრას გამართავენ.

უახლოეს ხანში საზღვარგარეთ გაემგზავრებიან აგრეთვე თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები. მათ საერთაშორისო შეხვედრები ექნებათ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

ლიდერი უცვლელია

მარიანსკაე-ლაზნეში სტუდენტ მოჭადაკეთა კოლექტივების პაექრობა მსოფლიოს პირველობაზე არ დამცხარა, მიმდინარეობს ფინალური შეხვედრები. გათამაშდა 5 ტური. გუშინ სსრ კავშირის გუნდი ისვენებდა, მაგრამ ამას მის სატურნირო მდგომარეობაზე გავლენა არ მოუხდენია და 14 ქულით ლიდერობას ინარჩუნებს.

რედაქტორი
დ. მჰედლიშვილი.



20 ივლისი

პირველი პროგრამით

08.30 — ნაწყვეტები ქართული ოპერებიდან, 09.20 — საბჭოთა სიმღერების კონცერტი, 11.00 — გაზეთ „ხორო ლენინელის“ ფურცლებზე, 11.15 — მუსიკალურ-ლიტერატურული კომპოზიცია — „ჩვენი დღე“, 12.00 — ი. ბობოხიძე. კონცერტი საყვირისა და ორკესტრისათვის, 12.45 — ეარკოვსკი. ფანტაზია ოპერეტა „ზღვის კვანძის“ თემაზე, 13.40 — ქართული ხალხური სიმღერები, 17.20 — ალექსანდროვის სახელობის საბჭოთა არმიის სიმღერისა და ცეკვის წითელდროშოვანი ანსამბლის კონცერტი, 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის. მოთხრობა „წითელი ყელსახვევი“, 18.05 — ძველებური რომანსები და ვალსები, 18.45— პოპულარული არიები ოპერებიდან, 19.15 — მეტნერის კამერული ნაწარმოებები, 19.45 — საუბარი: „ამოცანები ნათელია, მიზნები გარკვეული“, 20.20 — კონცერტი, 21.05 — გადაცემა — „პასუხი რადიომსმენელთა მეკითხვებზე“, 21.20 — საქართველოს ხელოვნების ოსტატთა კონცერტი, 22.15 — რადიოდადგმა. ვაჟა-ფშაველას პიესის „გველის მჭამელი“.

მეორე პროგრამით

21.00 — თათარ კომპოზიტორთა ნაწარმოებები, 21.45 — საუბარი: „ადამიანთა ჯანმრთელობაზე ზრუნვა ჩვენი პარტიის უპირველესი ამოცანაა“, 22.00 — საესტრადო კონცერტი — „ჩვენი მეგობრები“.

19 ივლისი

12.00 — მხატვრული ფილმი „ჩვენი საერთო მეგობარი“, 18.00 — ყველაზე პატარებისათვის — „ცეროდენას ეკრანი“, 18.20 — კინონარკვევი. 19.05 — გადაცემა — „სტუმრად მკურნალებთან“, 19.25 — პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე, 19.45 — გადაცემა „ცეკვავს გალინა ულანოვა“, 20.45 — ახალი ამბები. 21.00 — მხატვრული ფილმი — „სამოთხის ჩიტუნები“.

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო), **ისანი** (საზამთრო), **პლეხანოვის სახელობის კლუბი** (საზამთრო) — თავისი ცოლის ქმარი, **ამირანი** (საზაფხულო) — უდიპლომო სასიძო, **ოქტომბერი, სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **საქართველო** (წითელი დარბაზი); **ჭავჭავაძის სახელობის კლუბი, გორკის სახელობის კულტურის სახლი** (საზამთრო) — ამ ღამით, **ისანი** (საზაფხულო) — გრაფი მონტე-კრისტო (I-II სერია), **თბილისი** — ალბა რეგინა, **კომკავშირელი, ყაზბეგი** (პირველი დარბაზი), **კიროვის სახელობის პარკი, კომუნარების ბაღი** — 1943 წლის გრძელი ღამე, **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **გაზაფხული** — იაცეკი და მისი პრეზიდენტი, **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო) — კაცი მატარებლიდან, **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **მზიური** — ტრაგიკული ნადირობა, **კოლხიდა** (საზამთრო) — ჩემი სიყვარული, **კოლხიდა** (საზაფხულო), **ყაზბეგი** (მეორე დარბაზი) — ერთი დღის შვებულება ნაპირზე, **პლეხანოვის სახელობის კლუბი** (საზაფხულო) — პოეტის აკვანი.

თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებელი იუწყება

დაუსწრებელი განყოფილების **II კურსზე შემსვლელნი მისალებ გამოცდებს ამბარებენ:** 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერითხზულება), 2. ქართულ ლიტერატურაში (ზეპირი), 3. სსრ კავშირის ხალხთა ისტორიაში (ზეპირი).

განცხადებების მიღება წარმოებს ა. წ. 31 ივლისამდე, დღის 14 საათიდან 16 საათამდე.

კომუნისტი

თბილისი, ლენინის 14, ტელეფონები: **რედაქტორის** მოადგილეების — 9-93-03, 8-08-67, **პასუხისმგებელი მდივნის** — 9-72-80, **სამდივნ